

76580
2

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის „სოციალური“ განყოფილება № 46.

282
ს ლ ე ქ ს ი

(ზღაპარი ყმაწვილებისათვის)

ა კ ა კ ი ს ა .

ფანის 10 კაპ.

0152



თ ფ ი ლ ი ს ი

ბეგრება: დ. ს. ძალანდაძისა

1910 წ.



ბ ლ ე ქ ს ი

(ზღაპარი უძაწვილებისათვის)

ა კ ა კ ი ს ა.

ბზილიი
სტაპბა გუტენბერგისა.
1910

აღექსი.

(ზღაპარი ყმაწვილებისათვის)

თ ა გ ი

I

შვილო აღექსი!
მსურს გითხრა ლექსი,
საკუთრათ შენთვის მოემართო ქნარი;
დამიგდე ყური!..
ვით ლუკმა პური,
ისე შეკერგოს შენ ეს ზღაპარი!
აბა დავიწყო:
იყო და იყო,
ღვთის უკეთესი არა იყო რა;
აქედამ წალმა,
ცხრა მთას გაჯალმა,
რდგა პატარა, ლამაზი გორა,
რომელიც მუდამ
თვის სიმალლიდამ
რადაც მოლხენით დამზერდა ქალას,
მის წინ გაშლილსა,
სამოთხეთ ქმნილსა,
და მასში სჭერეტდა ბუნების ძალას.
ეს აგარაკი,
გაშენდა რაკი,
აღყვავდა ტურფათ, სხვა-და-სხვა ფერათ;
გაჩნდენ ჩიტები,
გაშალეს ფრთები,
დაიწყეს მღერა გულის მაძგერათ:

თქვეს: „ვნახეთ ზღუდე,
ვაკეთოთ ბუდე,
ეს ხეები სულ ჩვენ-ჩვენთვის გავჰყოთ;
ვიხაროთ გული,
ზამთარ-ზაფხული
უზრუნველათა გვიჯობს აქ დავჰყოთ.“
თქვეს, გაიხარეს,
წილიც არ ჰყარეს,
დაეპატრონენ ისე თითო ხეს.
შრომა დაიწყეს,
ზარმაცი ჰკიცხეს,
ყველა უვლიდა თავ-თავის კუთხეს.
მშვიდობიანს გვრიტს,
იმ უწყინარ ჩიტს,
ერგო მაღალი ხე ნაკერჩხალი;
ვერ ნახა წუნი,
იწყო ლულუნი,
თქვა: „ხეც პურში დგას, ახლოც მაქვს წყალი;
რომ დავიბუდებ,
კვერცხებსაც დავდებ
და იქიღამა ორ ხუნდს გამოვჩეკ;
მათ გასაზრდელათ
მე ახლოს, ხელათ
წყალსაც ვიშოვნო და პურსაც ავკენკ.“
დასკვნა ეს რჩევა
და ღმერთს კურთხევა
შეძლენა და ძღვენიც არ იყო ის ცრუ:
დილა-საღამოს,
ტკბილ და საამოს,
ლოცულობს გვრიტი, იძახის: „ღრუ! ღრუ!“
ყვანჩაღა ყვავმა,
ავმა და შავმა,
ჯერ გაიცინა, მოჰყვა: „ხე! ხე! ხე!“

ჩემ სამოსახლოს
ვხედავ მე ახლოს,
ძალიან მომწონს დიდი ნიგვზის ხე;
ბუდეს ვიკეთებ,
ჩიტებს ვაფეთებ,
კვერცხებს დავდებ და ბარტყებს გამოვტეხ.
შორს აღარ ვეძებ
საკენკარს: უცებ
აქვე ვიშოვი, კაკალს რომ გავეტეხ.“
ეს განიზრახა,
გაალო ხახა
და შემოსძახა მალლა ხმით: „ყვა! ყვა!“
თვით მოეწონა,
ასე ეგონა,
თუ მგალობელი ტოლი აღარ ჰყვა!..
პატარა მწყერმა,
იმ პურის მტერმა,
ხე რომ იხილა, „რათ მიწდაო?“ — თქვა
და პურში შეძვრა,
მიწას დაეკრა
და იქ დაიწყო მან ჩუმით გოგვა.
თქვა: „რას დავეძებ!
კვერცხებს ბევრს დავდებ
და წიწილებსაც ბლომათ გამოვჩეკ.
ოხრათ მაქვს პური,
ბედს რათ ვემღურო?“
გაგოგდა, იწყო პურში: „ბეკ! ბეკ! ბეკ!“
მგოგაემა შაშვმა,
არ ავმა, შაშვმა,
რომ დაინახა დიდ ეკლის ბურღი,
... მას მიაშურა,
სხვას არ უყურა,
ისე შეძვრა შიგ, როგორც რომ ქურღი.

თავისთვის ჩქარა
დაესახლ-კარა
და ოჯახობას მიჰყო მან ხელი.
ქიაც იქ ჰქონდა,
საზრდოც მიჰქონდა,
საამოთ სტვენდა,
ყველას აღხენდა,
სალამურივით რა გაჰკიოდა,
იმ არე-მარეს,
ტკბილათ მდუმარეს,—
სხვა ზრუნვით თავი მას არ სტკიოდა.
შავი მერცხალი,
როგორც რომ მთვრალი,
დაბარბაცობდა, ჰფერენდა ტრიალით,
უქრიდა რა გზებს
მომფრინავ ბუზებს,
საზრდოთ უქვრეტდა ნათ მტრული თვალით,
რა გაძღებოდა,
შტოზე ჯდებოდა,
იწყებდა ხოლმე კიკიკს საამოს;
მერე, ვით ქალი,
წყნარ პატარძალი,
შინ მიჰფრინავდა ყოველ სალამოს.
მაგრამ გუგულმა,
კრუმ და ცივგულმა,
ასე თქვა: „ბუღის არა მაქვს ჯავრიო,
სჯობს სხვის ზღუდეში,
მე მზა ბუდეში,
სხვის კვერცხებშია ჩემიც გავრიო!
მას ეგონება—
არ აქვს გონება—
მისი და ზედაც კრუხათ დაჯდება.
და როს გამოტეხს,

თავებს დაუტეხს
ჩემი ბარტყი, სხევებს—თვით გაიზრდება.
სხევებს ვიმსახურებ,
სეირს ვუყურებ,
მე ხის წვერზედა შევჯდები დილით
და მე იქიდან
ბრაწებს დავატან
გამვლელ-გამომვლელს „გუ-გუს“ ძახილით“
მაშინ ბულბულმა,
ტკბილ გრძნობით სრულმა,
ვიმართა ვარდნარს სიაზოვნებით;
და რომ დაჰხედა
ვარდის ბუჩქზედა,
ბუდე გამართა თავ-მოწონებით.
კოკობი ვარდი,
იმისი დარდი,
თვალთ წინ საამოთ ეფურჩქნებოდა;
და მით ბულბული,
აღვლევებული,
მეტი ეშხითა თითქოს დნებოდა.
ვარდი კოკობი,
ბაღჩისა მკობი,
ბულბულის გულსა ცეცხლს უკიდებდა;
და არე-მარე,
მუდამ მდუმარე,
ვარდის მღერალსა ყურსა უგდებდა.
ბულბული ამკობს,
ვარდიც ამაყობს,
შურიით კი ჰქნება საბრალოა;
და იადონი,
თავის მომწონი,
რას დასდევს იას, სტვენს: „ტია! ტია!“,
ასე, ამ გვარად,

მარად და მარად
სტვენენ სხვა-და სხვა გვარის ჩიტები;
დღიური საზრდო
ყველას წინ ელო
და შესაქცევათ მარგალიტები.
ეს ტურფა მხარე,
ტკბილათ მღუმარე,
ეკუთვნოდა ერთ მშვიდობიან ცხვარს;
და კმაყოფილი,
ის მადლის შვილი,
მადლობას ძღვნიდა თავის მაცხოვარს.

თ ა ვ ი

II

ეს ცრუ სოფელი,
მწარ-სამყოფელი,
ვერვის დაინდობს, არავის გაიტანს!..
უდროვოთ აღხენს,
უდროვოთ აწყენს
კაცს, აბურთავებს, სად არ გაიტანს?!
ვინ არა ძრახავს,
არ ვინ მინახავს,
რომ ამ სოფელზე მადლობა ეთქვას!
და ეს კი მიკვირს:
სიცოცხლე თუ სკიორს,
რათ ვერიდებით ჩვენ საფლავის ქვას?..
მაგრამ იმედი,
უბედოს ბედი,
გვაძნევებს ჭირში, მით გვაძლევინებს;
და მწარ შავ ღღეებს
მთლად დაგვაფიწყებს
ტანჯვით დამაშვრალს, წამს თუ გვაცინებს.
ჰოი, სად ხარ დრო,

ტკბილო, ნეტარო!
კაცობრიობის მალამო გელით
და სასოებით
რა გელოდებით,
ეკლიან გზას ვწმენდთ შიშველი ხელით.
და მოველით დროს,
ტკბილ სანეტაროს,
როს იგრძნობს ერი ბედნიერებას!..
აწმყო ცხოვრება
მითი გვიტკბება
და თანაუგრძნობთ იმ ნეტარებას!
ეს აღსარება
ვის ეყურება!..
ბევრს უკვირს ჩვენი სხვა გვარი ქცევა;
გიჟებათ გვხდიან,
და დაგვიცინიან!..
ხან გვესმის მათგან რისხვა და წყევა!..
მაგრამ ჩვენ იმ დროს,
რომ დაგვიფაროს,
ქრისტეს სიტყვები გვაგონდე?იან:
„შენ ზეციერო,
მამავ ძლიერო!
არ იციან, თუ რასა შერებიან!“
ოდეს მუშაკი,
ოფლსა ჰღერის რაკი,
შემოდგომისას თესავს ხორბალსა,
შიმშილს არ ნაღვლობს,
მაცხოვარს მადლობს,
მომავალ ზაფხულს უხატავს თვალსა
და წინეთ უმზერს,
გული მით უძგერს,
რომ მისი შრომა კარგ ნაყოფს აძლევს,
რომლითც მრავალი

მშიერ საწყალი,
საზრდოს ჰპოვებს და დღეებს ტკბილათჲ ჰკლევს.
მაშინ მდიდარი,
მარად მამდლარი,
ამ ნეტარებას, ვით გიჟურს, ძრახავს!..
მუქთად მყლაპავი,
საზიზღი სვავი,
საბრალო მუშაკს ძმათაც არ სახავს.
და ამაყ-გული,
მძორ-დიდებული
სულელს ახარებს, თავს უქცევს რა თვალს.
მაგრამ ჰკვიანი,
მართლ-გრძნობიანი,
უმალ თაყვანს სცემს მუშაკსა საწყალს;
და მით იმის გულს,
გრძნობით აღვსებულს,
ახალ შრომისთვის მარჯვედ ამხნეებს
და ასის დევნას
უსუსტარ წყენას
ერთის თანგრძნობით მალე ავიწყებს...
ჩვენც ხომ ისე ვართ,
დევნი გვჩანს არად
ათასას, თუ რომ ერთი თანგვიგრძნობს.
მაგრამ ჯერ ჩვენში
სად არს ნუგეში?
ჩვენგანი თანგრძნობს ჯერ ვერვის იცნობს!..
და წყლული გული,
აღელვებული,
ძგერს უამელოთ, ნაღვლით აღვსილი.
მით ამ ცრუ დრომა
დაგვიქენო შრომა,
ქლექში ვარდება ჩვენი სურვილი...
გამრავლდით, მშრომნო,

სულით ამაყნო!
თქვენი საფლავი დროსა მომავალს
საძირკველათ ჰქონდეს,
რომ აგონებდეს
თქვენი ცხოვრების პატიოსან კვალს!
და ვინცა აწმყოს,
რა ხელი მიჰყოს,
თავის სიციცხლესა შესწირავდეს მთლად
და უმცროს ზოდმეს,
ვითა მოწამეს,
შეიწირავდეს თავისთვის მსხვერპლად
ხალხში გაჰკიცხეთ
და შეარცხვინეთ,
რომ შეიღებმაცა მათ არ მიჰბაძონ
და სუსტთ ამკლები,
კაცები—მგლები,
თვისის სამწყსოდან მათაც განაძონ.
მაგრამ ეს ლექსი,
შვილო აღექსი,
შენთვის აღრეა... ირჩევ ჯერ ზღაპარს?
მაშ კარგი, შვილო,
მამულის წვლილო,
მივმართოთ ისევ ჩვენს საცოდავ ცხვარს.

თ ა ვ ი

III

უზრუნველათა,
მწვანე ველათა
დანაეარდობდა სიამით ცხვარი;
სქამდა, ცხოვრებდა
და ცივ წყალს ხვრებდა
ფეხით გაჰქონდა სულ მთა და ბარი.
ვის რას უყოფდა?

მით ამაყოზდა,
რომ კარგი კუთხე ბედმა მას მი!ცა;
და ისე ხტოდა,
როგორც უნდოდა,
ცა ქუდათ უჩნდა, ქალამნათ მიწა.
მაგრამ ერთ დღეს კი
აკენიტეს ნეკი,
როდესაც ქორათ მოჰკრა მან ყური,
რომ სხვა მხეცეზსა,
მის მეზობლესა,
გულში შესვლიათ საბრალოს შური!..
დიდათ ჰკვირობენ
და უპირობენ
ძალით საბრალოს დამონებასა,
თუ რომ სურვილით
და სიტყვით ტკბილით
თვითონ არ დაჰყვა იმათ ნებასა!
ჯერ თავ-მომწონე,
ამის გამგონე,
საბრალო ცხვარი მეტათ დაღონდა;
თქვა: „ცა გამიწყრა!“
ბევრი იფიქრა
და ბოლოს ხერხი მას მოაგონდა:
ის სამფლობელო,
მისი სამშობლო
სადაც კი თვალი მიუწვდებოდა,
ყოველი კუთხით
გალავნით, ციხით
შეჰკრა.—მტერი ვერ მოუხტებოდა!
და შემდეგ მარად
ის უშიშარად
აბუჩა სტუმრებს მარჯვედ უცდიდა
და თავის გულში,

დამშვიდებულში,
მოსისხარ მტერებს პაპულაჲ ხდიდა!
ერთხელ, ვით მტვერი,
მოადგა მტერი,
მაგრამ რა ნახეს გამაგრებული,
გაჭკვირდენ მეტად,
შეიქმნენ რეტად
და მოულოდნათ დაწყდათ მათ გული.
ვერაა გააწყვეს,
ამოიძუეს,
დაბრუნდენ სახლში ბილწი მხეცები;
და ცხვარმაც საგზლათ
ხშირათ და ხან-გრძლიაჲ
თან გაატანა იმათ ბრაწები!
უფრო დიდებით
და დამშვიდებით
ამ საქმის შემდეგ ცხვარი ცხოვრებდა
და ის სხვა ცხოველებს,
ვერც დათვებს, ვერც მგლებს
ძალით მომსევად ვერ უყურებდა.
ხანი გამოხდა,
ცვლილება მოხდა:
ეტკინა საწყალს ჩვენს ცხვარს მუცელი;
დასვა კრავები,
ნიკორ-შავეები,
და გასაზღვლათ მიჰყო მათ ხელი.
ძუძუსა სწოვდენ,
სხვას არას სთხოვდენ,
დენას დასდევდენ და ნაეარდობდენ.
სილაშაზითა
და სინაზითა,
ასე გასინჯეთ, ერთმანეთს სჯობდენ!
ქუა-გონებია,

დიდი ქონება —
რაც ცხვრისა წეაზედ კი შეიძლება —
იმთაც ჰქონდათ,
თავი მოსწონდათ;
აკლდათ მათ მხოლოთ გამოცდილება,
მაგრამ ეს ნიჭი,
ცხოვრების ბიჯი,
დედის მუცლიდან არვის დაჰყვება.
ცრემლ ნაღველითა,
გულის მწველითა
ის მხოლოთ შემდეგ მოიპოვება.
და ერთხელ ვინცა
მას ხარკი მისცა,
ქმუნვის ბეჭედი აზის მის სახეს;
და რაც პირველათ
ჩნდა სასურველათ,
ბოლოს იქ ჰგონებს საფრთხეს და მახეს!..

თ ა ვ ი


IV

ხარბა რამ არი
და უმაძღარი
ვნებითა სრული, აღმშფოთი გული:
რაც რომ ჩვენია, —
მოსაწყენია,
და რაც არა გაქვს; — მიგვიდის სული!
მწარისა ოხვრით
და ცრემლების ღვრით
როს ავისრულებთ ჩვენ ერთს სურვილსა, —
კიდევ სხვას, ახალს
გული იჩენს ალს
და არ გვისვენებს კრულს და ურვილსა!
ჩვენს ნაცნობ ცხვარსა,

შეუპოვარსა,
მოწყინდა მალე ის არე-მარე
და მოსაძოვრათ,
ნეკრის საშოვრათ
გადააბიჯა გალავანს გარე
და ის კრავები,
საცოდავები,
გალავანს შიგნით მარტოთ დაჰყარა!
მაგრამ იმავ დროს
უფროს და უმცროს
ორივე შვილებს ეს დაუბარა:
„ჩუმათ! ნუ ბლავით,
ფრთხილათ იყავით,
დაკეტეთ კარი, არვის გაუღოთ!
მარტო რომ გნახონ,
არ მოგატყუონ
ჩემმა მტერებმა, არ დავიღუპოთ!..
მე როცა მოვალ,
ყველაზედ უმაღ
სამჯერ „ბეს“ ვიტყვი და „ბეკეკესა“
და მითი მიხედით
კარებს მოახტით“
ჩქარა გამიღეთ და გაქმევთ რძესა!“
ამ გვარად ცხეარმა,
გულ-უმაძღარმა,
კრავებს ეს სიტყვა რა დაუბარა,
მინდორი გავლო,
მთებიც გადავლო,
ძოლუხედავათ გასწია ჩქარა.
უღელღურააა,
უძუძურაათა
დარჩენ კრავები და მოიწყინეს;
ვერც იკუნტრუშეს,

ვერც ინუგეშეს,
მიწვენ ჩეროში და დარძინეს.
მათ ძილში მგჯლი,
ის საძაგელი,
მიადგა კარებს, ეცა რა სუნნი.
ერთი ზან გარეთ
იზუელა მწარეთ
და დაუწყო კარს ჩქარა კაკუნნი.
ძილი, დაუფრთხათ
ტკბილი, მაგარი
ამ ხმაურობით პატარა კრავებს;
და რომ წამოხტენ,
მაშინვე მიხედენ,
რომ აბრიყვებდა ვიღაც მათ მტრობით.
მცვივდენ კარზედ,
მაგრამ უარზედ
დადგენ და აღარ გაუღეს კარი:
“ვიღაცა ხარო,
თუ დედა ხარო,
აბა ნიშანი შენი გვითხარი!”
კუდ გრძელმა მგელმა,
იმ საზარელმა,
მოსატყუებლათ შეჭქმნა ზუილი,
მაგრამ კრავებმა,
ნიკორაებმა,
იცვნეს და უთხრეს მათს მტერს: “ტყუილი!
გსურს გაგვაბრიყვო?!
დედა რომ იყო,—
სამჯერ იტყოდი „ბეს“ და „ბეკევეს!“
ჩვენც მივხვდებოდით,
კარს მივხტებოდით,
გაგიღებდით და შენც გვაქმევდი რძეს.
შენ დედა არ ხარ,

სხვა გვართ ჰყარხარ,
საიღამც მოხველ, იქვე წადიო!“
მგელი დაღონდა,
რალა გზა ჰქონდა!
თქვა: “დამეკარგა დილის მწვადიო!
ახლა ამ კრავებს,
ეშმაკებს, ავებს,
ვერ მოვატყუებ, წახდა ფიციო,
მაგრამ მეორეთ
შევატდენ სწორეთ,
რადგან ნიშანი მათი ვიციო!“
მართლაც მეორეთ.
დაბრუნდა სწორეთ
სამხრობის დროზედ, კარი მონახა.
ასუნ-დასუნა,
დაუკაკუნა,
“ბე“ და „ბეკეკე“ სამჯერ დასძახა..
მაშინ კრავები,
საცოდავები,
მოტყუვდენ და წამს გაუღეს კარი.
და ვაი მათ მტერს!
მგელს შეხვდენ მშიერს...
ორნივ ჩაყლაპა მგელმა უმწვარი!..
და გამაძლარი,
არ გასახარი,
მგელი წავიდა სახლში ძუნძულით;
და ის გძელ-კუდა,
როგორც რომ გუდა,
გამოიძვრა მუცლით და გულით.



ღია, კრავებიც აღარსად იყო,
მას ელდა ეცა,
პირქვე დაეცა
და საცოდავით ბლავილი იწყო!
თქვა: „ეს რა მოხდა!“
ზეზე წამოხტა,
თუმცა ცრემლები ადგა მას თვალში,
და თავის მტერსა,
გულის მაძგერსა,
გარისხებული ჩაუდგა კვალში.
მისდია ჩქარა,
მთა გადიარა
და ერთ ღელეში ნახა მან მტერი.
შეშინდა მგელი,
ის საძაგელი,
ცხვარს რომ შეხედა, წაუხდა ფერი!
ის, გამაძლარი,
ეგლო, ვით მკვდარი,
და აღარ ჰქონდა საომრათ ძალა.
და მონღლება,
ომის შეძლება
იმ წყეულს ცხვარმა აღარ აცალა,
დროზედ მოასწრო,
იშოვნა მან დრო,
ამოჰკრა ფაშეში მრისხანემ რქები,
გააპო ჩქარა
და გამოჰყარა
ისევ ცოცხლები თავის შვილები!
ბევრი იხარეს,
ცრემლები ჰღვარეს,
სიამოვნებით შეექნათ კოცნა...
! და მერე ცხვარმა,
ბედით დამტკბარმა,

თავის შემოქმედს მაღლობა უძღვნა
და წამოვიდა
დიდის ამბითა
თავის სახლისკენ გულ-დამშვიდებით;
და ძველებურათ,
ის მისებურათ
ესევ ცხოვრება, იყო დიდებით.
ხშირათ მტერები:
მგლები, ტურები,
დათვები და სხვა თუმც აწუხებდენ,
მაგრამ დიდ ზარალს
გერ აძლევდენ მას,
რადგანც ციხის კარს მათ არ უღებდენ.

თ ა ვ ი

VI

უსაპართლობით,
ომით, ძალობით
არვის შეეძლო, გაეღო კარი,
თუ რომ შეცდენით
და მოყვრის გნით
არ დაელუბათ საბრალო ცხვარი!
მოულოდნელათ,
მოუწვეველათ
ვაჩნდა მოყვარე, მტერზედაც ავი.
ეს იყო მელა!
ცუნცულით, ნელა
მობრძანდა, თოვლში ის ნაგორავი,
და მოტყუებით,
ტკბილი სიტყვებით
მიმართა ცხვარსა კეთილ მზრუნველათ:
„კეთილო ცხვარო,
ღირს შესაყვარო,

მამაკო, სიმხნით ქებულო ძველათ!
ყოველი კუთხით
ღამითა და ღლით
მტერი გყავს, არ გაქვს მით მოსვენება!
და შენ მოყვარე
არ გყავს მომხმარე,--
რომ მოგეხმარო, მომეცი ნება.
მაღალო სულით,
მიყვარხარ გულით
და მისთვის მინდა გეძმო, გემოყვრო;
და შენი მტერი,
როგორც რომ მტერი,
ისე გაეხადო, მინდა... ამოფხრო.
მე ერთი მურა
თეთრი, შაკ-ყურა
მყავს, თუმც არ ღრის ჩემი ფერია,
და როგორც მელის,—
ჩემგან რას გლის?—
ის უნდა იყოს დიდი მტერია,
მაგრამ სიბრყევით
ის, ერთი სიტყვით,
რადგანაც არ აქვს მეტი გონება:
რა გაეგება,
კიდევ ექება
თავ-განწირულათ ჩემი მონება!
აი, ამ მურას
მოვიყვან, ტურას
და მგელს წავიფრენ მე წინ სიმწრითა!
და მაშინ შენა
მოგხედავს ზენა,
მტერს მოიგერებ ყოველი მხრითა.
მოგაშორებ მტერს,
არც გახზოვ არაფერს

ამ სამსახურში მე გულ წმინდაო!
მოწმეთ მყავს ღმერთი
მე მხოლოდ ერთი—
შენი მოყვრობა გულთ მინდაო!“
ცხვარს რომ ეს უთხრა,
თავი დაუკრა
და ისე ჩქარა წავიდა შინა,
რომ იმ საწყალ ცხვარს,
მის სიტყვით დამტკბარს,
თითქმის მაღლობაც არ ათქმევინა.
ღარჩა მარტო და
ამას აზბობდა
ცხვარი: „ეს ნელა სით გამეჩნდაო!
ბევრეც უვლია,
შორეულია,
წემგნით რა აქვსო იმას სადაო!
როგორც ეტყოზა,
ჩემი მოყვრობა
მას გულითა სურს, უზაკველაღო.
მაშ დამტკიცოს,
მტრისგან დამიცოს,
ომი გამართოს მტრებთან ველაღო;
და მაშინ მეცა,
მოწმეთ მყავს ზეცა,
რომ არ დავრჩები უმადურით:
კარსაც ვაუღლებ,
ტბილათ მივიღებ,
რომ ნახოს ჩემგან სამსახურიო.“
რა გადსწყვიტა
ეს, შინ მივიდა,
კრავებს უამბო, უმახარობლა.
და იმავ დღიღამ

ყოვლის კუთხილამ
მისა ნათელმა დღემ მოიდრუბლა!..

თ ა ვ ი

V11

დადგა ზაზთარი.
მგელი, გამხდარი,
ტურა და დათვიც იერიშითა
მოადგენ ციხეს,
კრავებზე ნახეს
და გაიკმიდეს მათ ხმა შიშითა.
მაგრამ ავად დროს,
ცუდს და საზაროს,
პირობისა მებრ მოვიდა მელა,
თან მოჰყვა მურა,
დასძახა „ურა!“
და წაიფრინა წინ მტრები ყველა.
დათვი აბლავლეს,
ტურა აქყავლეს,
მგელი გაბერეს, როგორც რომ გუდა!..
და ვით სარდალი,
მხნე და მართალი,
ისე მოიქცა აქ მელა კუდა.
უბრძანა მურას;
„ნუ მხოგავ ნურას,
რაც გინდა, მახოვე, ავისრულებო!
და მართებელათ
მე უეჭველათ
ამ საცხვარეთში შენ გიგულებო.
მაგრამ კი ჯერე
მე დამიჯერე:
ფარისევლურათ და ფრთხილათ ვიყოთ,
რომ არ შევიტყოს,

ცხვარმა რო გვეითხოს,
ჩვენი აზრები და გავაბრიყოთ:
კარი გაგვიღოს,
ჯერ შინ მიგვიღოს,
ოტა ხანს ვიყოთ ჩვენც, ვით სტუმარი,
და მერე, როცა
ხელთ ვიგდოთ დროცა,
გავკრიჭოთ ჩვენი ცხვარი ხუმარი.
თუ იუაროს,
არ მოგვეკაროს
და არ მოტყუვდეს ჩემი ტკბილენით,
მაშინ შენ მალე
გადუბრიალე
თვალეები რისხვით, მუქარით, ღრენით!
რომ მაშინ შიშით,
ვაგლახით, ვიშით
ენა ჩავარდეს, ჩაიწყვიტოს ხმა
და ვითოვც ნებით,
ძალ დატანებით
სამარადისოთ გახდეს ჩვენი ყმა,
ეს რომ დააწყვეს,
საქმე დაიწყვეს;
დიდ მოწიწებით მიდგენ ციხის კარს
და სიხარულით,
ვით მართლის გულით,
გამარჯვებასა ულოცავდენ ცხვარს
მოტყუვდა ცხვარი,
გააღო კარი
და შეიყვანა ციხეში მელა.
იმას თან მურა
შეჭყვა შავ-ყურა
და გაიზმორა სიამით ნელა.
ცხვარმა მაშინა

გამოიჩინა,
რაც კი შეეძლო მას მასპინძლობა.
და მელა კუდამ,
ეშმაკის გუდამ,
ნაცვლათ შემდეგი უაზრა მადლობა:
„გმადლობო, ცხვარო,
შენ უწყინარო,
თავს რათ იწუხებ მასპინძლობითო?!
შენ ველარ შეძლებ,
მე ვიმასპინძლებ,
და შენც ქირაში ყოველ წლობითო
მიხადე მადლი,
მაძლიე მატყლი
ერთი საჩოხე, საპაიჭეო
და მით მშვიდობა
და ჩემი ნდობა
მონის საფერათ მიინიჭეო!
ბევრს ნულა ფიქრობ!
რალას აპირებ?
სიამ-ტკბილობა სჯობს იხმაროო,
რამ ბოლოს ძალით
ორივე თვალით
არ იტყრო და ცრელი ღვარო!“
შედრწუნდა ცხვარი,
გულს ჰკრეს ლახვარი!...
მაგრამ რალა დროს? რალას იზამდა?
მელა კუდურა
და მასთან მურა,
რომლებიც წელან მეგობრათ რწამდა,
მრისხანე ძალით,
თვალის ბრიალით
ულრენდენ და თან ილესდენ კბილებს!..
და მაშინ ცხვარმა,

შიშით შემკრთალმა,
ცრემლით ურჩია საბრალო შვილებს:
„აწ კი გვიმართებს,
ამ მინდვრებს და მთებს
გამოვეთხოვოთ—მონა ვართ მელას...
გვაწვეს ღვთის რისხვა,
სანამ აწ ჩვენ სხვა
არ გამოგვიხსნის და არ გვიშველის...
ემონოთ ჯერ შავ ბედს,
ნუ ეკარგავთ იმედს:
სოფელი ბრუნავს აღმა და დაღმა.
რომელმაც ჩვენა
არ მოგვასვენა,—
ეგებ დაჭლიჯოს მელაც იმ ძაღლმა
და ჩვენც მაშინა...
ჩუ! შემაშინა
რაღაც ჩვენებამ, ამბობს: “ფრთხილადო!
ჯერ მსხვერპლი უნდა,
უმანკო, წმინდა
განსაწმენდელი შვილის-შვილადო!“
ეს რა წარმოთქვა,
ყელს შეიბა ქვა
ნიშნათ მონობას... დაღუმდა ცხვარი,
ძირს თავ-დახრილი!..
იწყო ტირილი...
ღღესაც არ შრება იმას ცრემლთ ღვარი!..
იმ არე-მარეს,
ჩაგრულს, მწუხარეს
გულ მოსაკლავათ რწყავს ის ცრემლთ-ღვარი...
და რომ შეაშროს
ის ცრემლი ერთ დროს,
მისთანა გმირი ჯერ არსად არი...
აკაკი.



წიგნის მაღაზია

„ს მ ღ ნ ა“

ართმეტიკული კრებული ეგ. ხრამელაშვილი სა I ნაწ:	30 კ.
მეორე ნაწილი მისივე	40 კ.
სახელმძღვანელო ართმეტიკა მისივე	80 კ.
ქართული წერის დედანი ალ. მირიანაშვილისა.	40 კ.
ქეშმარიტი სოციალისტი	10 კ.
სადღესო საუბარი ტ. ართმელაძისა	20 კ.
მეთაურთა უმეტესობის უთაუროა მისივე	10 კ.
ქართველი გრიგორიანება ,	30 კ.
სამშობლოსათვის თავდადებულნი სახოკიასი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20 კ.
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა.	20 კ.
ხალხური ვეფხვის ტყაოსანი.	10 კ.
იაპონია ნ. ნიკოლაძისა	20 კ.
შილდერის პოეზია ივ. გომართელისა	20 კ.
სიმღერა, აკაკისა სურათით.	15 კ.
ლექსები ილია ჭავჭავაძისა სურათით	15 კ.
რაქა სოსიკო მერკვილაძისა.	20 კ.
რაშია ბედნიერება? იასე რაქველისა	10 კ.
სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიანისა.	10 კ.
წმინდა გიორგის რაზმი აკაკისა	5 კ.
გრიგოლ ორბელიანის ლექსები	20 კ.
კულტურა ლიპერტისა, ნათარგ. ყიფიანისა	50 კ.
რუსულ-ქართული ლექსიკონი მისივე	50 კ.
ამ დროს გამორბეი 4 მოქმედებად ალ. ბაქრაძისა	

ქართულ რუსული ლექსიკონი ბალაშვილისა .	50	კ.
ბაში აჩუკი, აკაკისა	30	კ.
თავ-გადასავალი, აკაკისა	1 მ.	
ვაჰრული ჭკუა, აკაკისა	5	კ.
პატარა ჩონგური	5	კ.
ნაკვესები აკაკისა	7	კ.
აბრამის და იობის ლექსი	3	კ.
სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი.	7	კ.
თამარ მეფე აკაკისა სურათით	5	კ.
ქართველთა ტომი ალბომი საქართველოს ყო- ველი კუთხის ქართველთა სურათებით საცხე.	3 მ.	
გეოგრაფია ვახუშტისა	2 მ.	
მზა მეტყველება ანტონ I ქათალიკოზისა	1 მ.	
ღრამატიკა მისივე	1 მ.	
ყაზბეგის სრული თხზულები ერთ ტომად	3 მ.	50 კ.
ნ. ბარათაშვილის ლექსები, მთელი მიწერ-მო- წერით დ. კარიჭაშვილის. ბიოგრაფით, ილ, ჭავჭავაძის კრიტიკულ წერილით და ექიმი ივ. გომართლის მიერ, ნ. ბარათაშვილის პი- როვნებისა და პოეზიის დახასიათებით.	40	კ.
ვეფხვის ტყაოსანი მშვენიერის ყლით დიდი	3 მ.	
თხზულება ი. ევლოშვილისა	60	კ.
ყურანი ნათარგ. ა.პ. მირიანაშვილისა	1 მ.	
ნინოშვილის სრული თხზულება	1 მ.	50 კ.
კოპერაცია	80	კ.
ზღაპარები დიდი სურათებით და ყლით	1 მ.	25 კ.
მეორე ნაწილი სურათებით ზღაპარეზი.	1 მ.	30 კ.
პატარა ზღაპარი ოქრუა	5	კ.
სამი ზღაპარი ხალხური	10	კ.
მოგზაურობა ეფ. კონკოშვილისა	1 მ.	
ღრამატიკა ს. ხუნდაძისა	50	კ.
საქართ. ისტორია ჯანაშვილისა.	1 მ.	
ღრამატიკა მისივე	50	კ.

კრილოვის არაკები აკაკისა	50	კ.
ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა	1	მ.
რომაელებს ძველი ისტორია	1	მ.
ილ. ქავკაჰადის სიკვდილი და დასაფლავება	50	კ.
სოციალ-დემოკრატია სოფლად ხეობელისა	20	კ.
Письмо о Грузіи ისარლოვისა	80	კ.
ათაბაგნი ბექა და აღბულა ურბნელისა	50	კ.
Присоедин. Грузіи къ Россіи Авалишвили 1 p.	50	კ.
ბუნება და ცხოვრება აღსაზიშვილისა	60	კ.
სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი	30	კ.
ფშავური ლექსები (ხალხური)	40	კ.
მამიდა ასმათი გ. წერეთლისა	20	კ.
Крат. Очерки истории Грузин. Церкви э. к.	2	მ.
კრეზული აკაკისა მთელის წლის	6	მ.
ალ. სარაჯიშვილისა რამას განდევნა რომანი	40	კ.
ცხოვრება და სიყვარული ჩარხიშვილისა	50	კ.
დამონებულნი ნათ. სახოკიასი	1	მ.—კ.
ლექსიკონი საბა სულხ. ორბელიანისა	3	მ.—კ.
უცხო სიტყვათა ლექსიკონი	20	კ.
ჩანგი დასურათებული	1	მ.
დონკიხოტი დასურათებული	2	მ.
საქართველოს სიძველენი აღბომით	3	მ. 50
ძველი საქართველო ტომი პირველი	3	მ. 50
დათუნა გოცირიძე აკაკისა	5	კ.
კალმის მონასნი მაგმაძისა	25	კ.
კალმასობა ივ. ბატონიშვილისა	1	მ.
ვასო აბაშიძე დასურათებული როლებში	60	კ.
მაქსიმ გორკი	15	კ.
თავდადებულნი ქაუთველნი	10	კ.
ლაღატი სუმბათაშვილისა მესხის ნათარგმნი	25	კ.
გრ. ყიფშიძის ნათარგმნი	20	კ.
ნიკო ავალიშვილისა. დასურათებული	1	მ. 25
საუნჯე ავადმყოფისა	15	კ.

ქვეყნიერების მასალა ,	7	კ.
საუნჯე მეურნისა , .	15	კ.
წერილი სოფლელ მუშას	5	კ.
სახალხო მოღვაწენი , .	5	კ.
რამდენ მილიონ მანათს ჰკარგავს იმერეთი	10	კ.
Новая Народная Школа.	10	კ.
დიდი ნათელი ძველის ქვეყნისა სოგრატი.	5	კ.
ნერგი ქართული წერა-კითხვის შესასწავლი ივანე როსტომაშვილისა ნაწ. I-ი	20	კ.
ნერგი ნაწილი მეორე მისივე	20	კ.
ნერგი ნაწილი მესამე მისივე	20	კ.
ნერგი ნაწილი მეოთხე მისივე	20	კ.
ქართული სამეცნიერო წიგნი	5	კ.
შინაური ფრინველგზის მოვლა-მოშენება	15	კ.
მეურნეობა და ახალი შკოლა	5	კ.
ახალი მიმართულება სამკურნალო მეცნიერებაში	5	კ.
რა არის გონებითი გახსნა განვითარება	5	კ.
წერილი სოფლის მუშას ართმელაძისა	5	კ.
პურჯ ბოსტანი.	7	კ.
ბუდა და მისი სწავლა	5	კ.
რა არის დოსტაქრობა	5	კ.
ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში	35	კ.
თვით მასწავლებელი რუსული ენისა	25	კ.
არსენას ლექსი	5	კ.
ბეჟანიანი.	10	კ.
თაიგული	20	კ.
მოგზაური-ქურნალი 1901 წლისა	2 მ.	50 კ.
სამზარეულო (ქართული და ევროპიული საკ- მღებისა)	1 მ.	50 კ.
მუშა და მუზა	3	კ.
მოხუცის გრძობა აკაკისა	10	კ.
იმერეთი	2	კ.
გადასახადების შესახებ	6	კ.

რეოლუციონური უმცირესობა	3	კ.
მარქიზმოს შესახებ	10	კ.
შეიცვალენ	10	კ.
დედა კაცის სოციალური მდგომარეობა	8	კ.
„სიმატლე“ — ლექსი	8	კ.
დედაკაცი	6	კ.
ნაშინშხალი	3	კ.
კოპერატიული მოძრაობა ბელგიაში	3	კ.
ჩენი მიზანი	15	კ.
მამულის საერთო ფლობილობა	10	კ.
ძირითადი საფუძველი განათლებასა	10	კ.
ქრისტანობა და დემოკრატია	15	კ.
სოციალ-დემოკრატები	10	კ.
სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება	20	კ.
სიბრძნე ბალავარისა	20	კ.
საუბარი სოციალიზმზედ	20	კ.
სახალხო სახლი	5	კ.
მუშათა კავშირები და მათი მნიშვნელობა	20	კ.
ლექსები საჯავახოელისა	20	კ.
ილიას დღე ქიათურაში	20	კ.
რუსეთ იაპონიის ომი	10	კ.
სანთური ნათარგმნი ლექსები	10	კ.
აღსარება სილოვან ხუნდაძისა	5	კ.
ბარტექ ძლევა მოსილი	20	კ.
ბავშვების მოვლა	25	კ.
ბუნების ცოდნა	25	კ.
სიბრძნე სიცრუე საბა სულხან ორბელიანისა	75	კ.
თხზულებანი: აკაკი წერეთლისა I ტომი	1	მ.
— მისივე — II ტომი	1	მ.
რაფიელ ერისთავისა I ტომი	1	მ.
გეორე ტომი მისივე	40	კ.
ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ მეექვსე	10	კ.
მუშათა მოძრაობა საფრანგეთში	20	კ.

ლუკმა პურის ამბავი	6 კ.
ეროვნული ენა სურგულაძისა	15 კ.
მამულიშვილობა და მეცნიერება ივ. ჯავახი- შვილისა	15 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა შავი სპარტაკი	15 კ. 40 კ.
მუშათა პროფესიონალური კავშირება შიპე- ლისა	12 კ.
საქართველოს ეკლესიის აკლება	5 კ.
„ჭეშმარიტი“ ლექიები	8 კ.
თავისუფლებას მსხვერპლნი	6 კ.
როგორ იბრძოდნენ გლეხები სიცილიაში	13 კ.
ძირს ლოთობა, ძირს მათრობელა სასმელები. ინტელიგენცია და პროლეტარიატი ნათ. პოლ- აალანდაძისა	5 კ. 8 კ.
ეჭიმის საუბარი გულის-ხმიერო მკითხველთან ვ. ლამბაშიძისა	5 კ.
სიუხვე ხორბლისა და საიდუმლოება მიწის სი- მდიდრისა	40 კ.
მოკლე საუბარი ა. ჭიჭინაძისა	20 კ.
ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში ი. ფან- დხავასი	15 კ.
ჰაერი და სითბო ჟევატუესკისა	15 კ.
როგორ უნდა გადასწყდეს მიწის მფლობე- ლობის საქმე	10 კ.
საფრანგეთის დიდი რევოლიუცია	15 კ.
ერობა და თვით მართველობა	10 კ.
სახელმწიფო გადასახადები	8 კ.
პ. უმიკაშვილის სახსოვრად	30 კ.
ძველი და ახალი არ. ჯორჯაძისა	25 კ.
სახელმწიფო წყობილობა საფრანგეთში	8 კ.
პოლიტიკური წესწყობილება დასავლეთ ევროპაში	10 კ.
ქართველების გამაჰმადიანება ზ. ჭიჭინაძისა	30 კ.

Изъ воспоминаніи Русскаго учителя	50 კ.
აქილასი ნათ. კლდასი	10 კ.
ამხანაგო ნუ გვლაატობ	5 კ.
ქოლოკი მაგმაძისა	5 კ.
გიორგი სააკაძე, დიდ მოურავიანი სურათით.	80 კ.

დაბაზის ქექლუცად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველის დიდი სურათი	50 კ.
აკაკისა	50 კ.
ილია ქავჭავაძისა	50 კ.
ალექსანდრე ყაზბეგისა.	50 კ.
რაფიელ ჭერისთავისა	40 კ.
ნიკ. ბარათაშვილისა	50 კ.
იმერეთს მფეე სოლომონ მეორისა	50 კ.
გიორგი წერეთლისა	30 კ.
ლეონიდე ეპისკოპოსისა	30 კ.
ირაკლი მეფის სურათი	30 კ.
სურათი თამარ მეფის დიდი	1 მ. 50 კ.
ჯგუფი თამარისადმი ვეფხვის-ტყაოსნის მირთმევა	50 კ.
საქართველოს დიდება, საბინინისა	1 მ. 20 კ.
სურათი ქართველ მწერალთა და მსახ. საფოსტო ღია ბარათზე თითო	5 კ.

აქვე იუილება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და უოველ გვარი წიგნები.

ვინც მოიხურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებითაც.

მალაზია იმყოფება ქვაშეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახლი არჯევანიძისა №15.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, книжн. маг. „ЦОДНА“
 მალაზიის პატრონი სოსიკო შერკვილაძე.

